…ბათი 1888 მარტი 9, ოთხშაბათი № 50


| | | | |
|---|---|---|---|
| | | ან. | კ. |
| … | 10 — | … | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 70 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბეჟუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ ნ ხიდდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პო ლი ტი კო და სა ლი ტე რა ტუ რო გა ზე თი 1877 1888

ბლაღოჩინი და დეკანოზი, მამა ნ. არდაზიანი, აცხადებს, რომ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ბრძანებით ამ დამდეგს დიდ-მარხვაში კვირა-უქმე დღეებში წარმოთქმულ იქმნება ხოლმე მოძღვრება - ქადაგებანი, ანუ დარიგებანი სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებნი შემდეგს ეკკლესიებში: კუკიაში, კუკიის ალექსან-
…ლის ეკკლესიაში და ვერა-
…ნე მღვთის-მეტყველის
…სულად; სიონში,
…ის წმ. მარი-
…თის წმ. ნიკო-
…აში ქართულად;
…რის - მამის ეკ-
…ლად და წმ.
…ლესიაში — თათ-
(3—1)

…ავად-აზნაურთა
…ებს ხსენებულ
…პას, რომ ტფი-
…აურთა კრება
…სა, დილის
… კეთილ-
…ების სად-
… სასული-
…ექიმ კუ-
…თხოვს.
… კუ-
…ს დეპუ-
…აში, იმ
…კად - აზნა-
3—2)

…, 8 მარტი

…დობა ნიავმა
…როპასა და ახა-
…მა გერმანიისამ
…სცა, მაგრამ კაცს
… ეხიდება ეს საკი-
… და როგორ ჩამო-
…უველასათვის სასურ-
…ობიანობა? ეს საკითხა-
… უფრო საბუთიანია,
…ლივე დიდი სასტო-
…ვევა, როგორც, მაგა-
…ომის ატეხაა დიდთა სა-
…თა შორის, იმოდენად
… არის დამოკი-
…დაც ერთად
…ბათა კრებულ-
…ერი კაცი
…ტყვეა ამ
… ვიდრე
… ემოხ-
…ვისი საბუ-
…
…ულმწი-
…ობილ-
…ძლევე-
…როპა-
…ცოდ-
… მის-
…ილის
…სას.
…ან-
…ოს

ლო საფიქრებელად მაინც ჭრიჭება: როგორ უნდა აისრულოს თავის სულგრძელი და კაცთ-მოყვარე სურვილი იმპერატორმა ფრიდრიხმა, რაკი ვიცით, რომ ამისთანაებში ცალკე კაცის წადილი ხშირად უღონოა ხოლმე საქმეთა ცვლილებისათვის.

ამ თვრამეტ და ცხრამეტ წელიწადის განმავალობაში ბევრი იმისთანა ბარაქიანი მიზეზი მიზეზს ზედ შეეკეცა, ბევრი იმისთანა ნასკვი შეიკრა, რომ ამ მიზეზების დაშლას, ამ ნასკვის გამოხსნას არა ჰყოფნის მარტო ერთი სურვილი თუნდ იმისთანა ძლიერის კაცისა, როგორიც დღეს იმპერატორი ფრიდრიხია. მინამ საფრანგეთი გულიდამ არ ამოიღებს წყურვილს სამაგიეროს გადახდისას და ელზას - ლოტრინის დაკარგვის სიმწვავეს არ დაინელებს, იმ დრომდე ძნელია სთქვას კაცმა, რომ ევროპას ცა გადაეწმინდაო. შესაძლოა დავიჯეროთ გულ-წრფელობა იმპერატორის ფრიდრიხისა, შესაძლოა ვიწამოთ მისი გულითადი სურვილი, რომ ქვეყანაზედ მშვიდობიანობა იყოს, მაგრამ საფრანგეთის მაყურებელი გერმანია ძნელად თუ იარაღს აიყრის და თავის ფარ-ხმალს ძირს დასდებს და თუ გერმანიამ იარაღი არ აიყარა, რა ხელ-საყრელია იგი მშვიდობიანობა, რომელიც თავიდამ ფეხამდე თოფ-იარაღში ჰზის და დამკლავებულია სომრად.

ცხადია, რომ მინამ საფრანგეთს ხმლის ვადაზედ ხელი უვლია, გერმანია ვერ გაჰბედავს იარაღის აყრას. მაშასადამე, ორში ერთი უნდა მოახდინოს იმპერატორმა ფრიდრიხმა თავის სურვილის ასასრულებლად: ან საფრანგეთზედ იმოქმედოს იმოდენად, რომ მუქარაზედ ხელი აიღებინოს, ან საფრანგეთს უნდა დაუამოს ტკივილი ელზას-ლოტრენის დაკარგვისა. პირველი შეუძლებელია. თავ-მომწონე საფრანგეთი თავის აბრუს გატეხას ევროპაში თავის დღეში არ შეარჩენს გერმანიას, თუ გერმანიამ იმისთანა რამ არ იხერხა, რომ საფრანგეთის თავ-მოწონებას გმაყოფილება მისცეს. საქმე ამაშია. ეს ბოლგარიის საქმე, ჩვენის ფიქრით, ადვილად გასათავებელია, თუ გერმანიამ მოინდომა. აქედამ შიშის მოლოდინი ტყუილი მოლოდინია, იმიტომ-რომ აქ გერმანიის ერთი სიტყვა ჭირადაც ეყოფა ამ საქმესა და ლხინადაც. ჩვენა გვგონია, რომ ბოლგარიის საქმე მარქაფაა იმ დიდ საქმისა, რომელიც დასავლეთს ევროპაში ცეცხლს ინახავს. ეს ბოლგარიის საქმე, ვგონებთ, უფრო იმისათვის არის განგებ ატეხილი თ. ბისმარკისაგან, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ამ საქმეს მოაბვიოს და აღარ მოაცალოს საფრანგეთისათვის ხელის მისაწდომად.

ამ სახით მშვიდობიანობის დასამყარებლად საჭიროა დღეს ყველა სახელმწიფომ იარაღი აიყაროს. საფრანგეთი თავის ტკივილის დაუყურებლად ამას არა იქმს. მაშასადამე, ან იმპერატორმა ფრიდრიხმა ეს ტკივილი უნდა დაუამოს საფრანგეთსა, ან ჩამოკრიბოს მთელი ევროპა, მშვიდობიანობის წყურვილით ძალ-დატანებული, და ზნეობრივის ზედ-მოქმედებით ურჩს საფრანგეთს ძირს დაადებინოს იარაღი. ერთიცა და მეორეც იმოდენად იმპერატორ ფრიდრიხის ხელში არ არის, რამოდენაც გარემოებათა ძლეობაშია.

## ახალი ამბავი

*** 4-ს მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეებმა გაჰმართეს სალიტერატურო საღამო. ყმაწვილებმა წაიკითხეს ქართული და რუსული ლექსები, სთქვეს რამდენიმე სიმღერა და საღამო დაასრულეს ცეკვა-თამაშით. ნამეტნავად კარგად ითამაშა ლეკური მოწაფემ … ლავანდიშვილმა. … ამწყრე… … სიამოვნეს ყმაწვილების სიმღერითა და თამაშობითა. ამათ შორის იყო ბ-ნი დარსკი, ტფილისის გუბერნიის სასოფლო სასწავლებლისა დირექტორი.

*** გუშინ-წინდელი დღე ძალიან მხიარულად გატარა ტფილისმა, მთელს ქალაქში რამდენიმე ყეენი დადიოდა სხვა-და-სხვა გვარად და სასაცილოდ მორთული. მაყურებელი ხალხი ძალიან მხიარულობდა მართლაც რომ სასაცილო სანახავითა. ერთს ფოტოგრაფს, როგორც გადმოგვცეს, ყველა ყეენის სურათები გადაუღია.

*** 5-ს მარტს «ტფილისის საბრანის» დარბაზში გამართული იყო საცეკვაო საღამო სომხების კავკასიის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. როგორც გაზ. მშაკი იუწყება, ამ საღამოს შემოსავალი 500მანათამდე იქნებოდაო.

*** დილომში კაცის-კვლა მომხდარა. მიზეზი ძაღლი ყოფილა. აი როგორ გვიამბეს. ერთს გლეხ-კაცს ხბო მოჰკვდომია. პატრონს გაუტყავებია და ტყავი შეუნახავს. როგორღაც შეპარულა სახლში მეზობლის ძაღლი და ხბოს ტყავი გამოუტანია. ტყავის პატრონი თოფით გამოსდგომია ძაღლსა. ძაღლი გაქცეულა და პატრონის სახლში შევარდნილა. ტყავის პატრონი აქაც შეჰყოლია. აქ პატრონი გამოსარჩლებია ძაღლსა. ტყავის პატრონი ისე ყოფილა გაცეცხლებული, რომ უთქვამს ძაღლის პატრონისათვის: თავი დამანებე, თორემ შენც ე მაგ ძაღლს თან მიგაყოლებო. უთქვამს, თოფი დაუხლია და საწყალი კაცი მოუკლავს.

კაცის-მკვლელი დაუჭერიათ და ციხეში გამოუგზავნიათ. საქმე გამომძიებელთან სწარმოებს.

*** გუშინ-წინ მთელის ქალაქის დაბალი ხალხი ორთაჭალაში გავიდა ჩვეულებისამებრ საქეიფოდ. ხალხს მთელი დღე აყალმაყალი და ჩხუბი ჰქონდა ცხენის რკინის გზის მოსამსახურეებთან ვაგონების უქონლობისა და სივიწროის გამო, მაგრამ ვაგონები მაინც არ მოუმატეს: ორი ვაგონი დადიოდა. საღამოს ცხრა საათზე შესწყვიტეს ვაგონებმა მუშაობა. ხალხი მიდიოდა, სადგურის უფროსს სთხოვდა—ათ საათამდე მაინც ეტარებინათ ვაგონები, მაგრამ უფროსმა ეს თხოვნა არ შეუსრულა.

*** გუშინ-წინღამ, 8 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, ს. ვაშაკიძის ეზოში, შეიპარა ორი ქურდი: სანდრო მანიევი და მიხა ბალდასაროვი და სამზარეულოდამ ტაფა გამოიტანა. მოასწრეს, ტაფა დააგდებინეს, ქურდები გამოცვივდნენ ქუჩაში, მაგრამ სახელმწიფო პალატის მოხელემ, ბ-ნმა ევანგულოვმა, დაიჭირა და მე-9 პოლიციის ნაწილში წარადგინა.

*** კავკავი: ყაზახ-რუსების სტანიცა არხონკაში ძალიან გავრცელებულია ყელ-ჭირვება, რომელიც არა მარტო ბავშვებს ერჩის, არამედ დიდებსაც. დღეში ხუთი-ექვსი კაცი კვდება.

სხვა-და-სხვა გადამდებმა ავადმყოფობამ ძალიან შეაწუხა მინდვრის ოსები.

*** ამ წლის იანვარს ლაპარაკი იყო, რომ რკინის გზა იქმნას გაყვანილი ტფილისიდამ ყარსამდეო. ახლა გაზ. „Нов. Вр.“-ია ამბობს, რომ მინისტრთა კომიტეტმა შესაძლებელ საქმედ ვერა სცნო წელს ან გაკეთდეს ეგ გზა, ან საჭირო ცნობანი შეიკრიბოს მაგ საგნის თაობაზეო.

*** სამხედრო სამინისტროს გაუგზავნია საზღვარ გარეთ ექიმი გოპაძე განსაკუთრებით მასსაჟის სასწავლოდ. მასსაჟი ერთ გვარი ღონეა ავადმყოფობის მორჩენისა ტანისა და აგებულების ფიზიკურ ვარჯიშის შემწეობითა და ჰგავს ჩვენებურს დაზელას მექისების მიერ.

*** საიმპერატორო რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებას განზრახვა აქვს გაგზავნოს რამდენიმე მოგზაური ამ მომავალს ზაფხულს სხვა-და-სხვა ქვეყნების შესასწავლად. სხვათა შორის კავკასიაც უნდა შეისწავლონ და აღწერონ. ამ აზრით კავკასიაში უნდა გამოგზავნონ ბ-ნი კ. ნ. როსსიკოვი, რომელმაც უნდა შეისწავლოს და აღწეროს ჩრდილო-ეთ-დასავლეთი ნაწილი კავკასიონის ქედისა. როსსიკოვს რამდენიმე თხზულება დაუწერია კავკასიის შესახებ, შეუსწავლია კავკავის გზის აღმოსავლეთით მდებარე მთიან… გილები და დაუთვალიერებ… ჩიჩნები, დასავლეთი … ოსეთი და მთის ყაბარ…

*** სომხურს ჟურნალ „არარატში“ სწერია: კავკავში იქაურ სომხის ეკკლესიისათვის შეუწირავს ერთს კავკაველს სომეხს, გრიგოლ ბალდასარიანც, სამი ათასი თუმანი ფული იმ პირობით, რომ წელიწადში ერთხელ იმის სულის შესანდობრად იწირავებოდეს.

*** «მშაკსა» სწერენ ბაქოდამ იქაურ ნავთის მწარმოებელთა გაჭირებას: აქამომდე 600 ფუთი კეროსინი 160—170 მანათად ფასობდაო და ეხლა-კი 50 მანეთის მძლეველიც არ არისო, თითო ვაგონის ნავთის გადატანა-კი 90—95 მანათი ჯდებაო.

*** 6-ს მარტის ღამეს, მე-9 განყოფილებაში, კოტრინის სახლში, ექიმის გოლბეკის მეეტლის—პეტრე გოცირიძის სადგომიდგან მოუპარავთ მეეტლის საცმელი და სარტყელი,—33 მანათისა. ქურდი, დუშეთის მაზრის გლეხი გიორგი საგუგაშვილი, შეიპყრო პოლიციელმა შესტაკოვმა, … … წარუდგინეს მე-3 განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს.

## ქალაქის საბჭო

7 მარტს

კრებამ განიხილა მოხსენება გამგეობისა და საფინანსო კომისიისა იმის შესახებ, რომ სოფლებიდამ ჩამოტანილ ურმებსა და „პროვოსკებზე“ დაედოს ხარჯი ორ-ორი შაური, და აგრეთვე იმისა, რომ ერთის წლით კიდევ შეჩერდეს გარდაწყვეტილება საბჭოსი, რომლის მალითაც გამგეობას უნდა დაექცია საქალაქო დუქნები რუსის ბაზარში და ავლაბრის მოედანზედ. ეს ორივ წინადადება უმთავრესად აშენებულია იმ გარემოებაზედ, რომ ქალაქს დიდი დეფიციტი აქვს წელსა.

ამ მოხსენებამ გამოიწვია ხანგრძლივი გამათობა.

მიქელაძე. მე საშინლად მიკვირს, რომ გამგეობას მოჰსვლია აზრად ასეთის ხარჯის შემოღება, და უფრო მაკვირვებს, რომ საფინანსო კომისიაც დასთანხმებია. ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ ღარიბ ხალხს შევუმსუბუქოთ ცხოვრება და ამის მაგიერ უფრო ვუჭირებთ საქმეს. ურმებზე ორ-ორ შაურის გადახდევინებამ უნდა მოგვცეს სულ რაღაც ხუთას-ექვსასი თუმანი წლიური შემოსავალი. მაგრამ იცით, ვის გადახდება ეგ ხარჯი! აგერა, მთავრობამ დააწესა ნავთის ბაჟი, რომელმაც წელიწადში 5 მილიონი მანათი უნდა შეჰმატოს ხაზინას. ხაზინა, მართალია, მაგ 5 მილიონს აიღებს, მაგრამ იმათგან-კი არა, ვინც ნავთსა ჰყიდის, არამედ იმათგან, ვინცა ჰხმარობს; ანგარიშიც გვაჩვენებს, რომ გამყიდველი მარტო 5 მილიონს-კი არ ახდევინებს მსყიდველს, არამედ 15 მილიონს, საიდამაც 5 მილიონს აძლევს ხაზინას ბაჟში და დანარჩენს 10 მილიონს-კი ჯიბეში იდებს. აქაც ისე მოგვივა. ჩვენის საფინანსო კომისიის წევრთა მოქმედებას რომ ადევნებდე, ვხედავ, … … … ლოდნენ მე… …ბათა შესახებ, …რება …

იმათ არა უნდა გაუგებოდეთ-რა. ეგ ახალი ხარჯი დიდს სენსაციას მოახდენს სოფლელებზე. იმათ გაუძნელდებათ თავიანთ ნაწარმოების ჩამოტანა ქალაქში. უეჭველად ჩაერევიან ტფილელი ჩარჩები და უფრო უარესად ჩაიგდებენ ხელში მწარმოებლებსა. ცხოვრების უპირველესი საჭიროებანი უფრო გაძვირდება. ამით იზარალებს ცალკე გლეხი და ცალკე ღარიბი მოქალაქე. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია მაგ ხარჯის შემოღება. ხოლო რაიცა შეეხება საქალაქო დუქნებს, იმათ დატოვების წინააღმდეგი არა ითქმის-რა, რადგან ამ გაჭირებაში ექვსას თუმანს გვაძლევს წლიურ შემოსავალს.

ბებუთოვი. ქვეყანაზე არც ერთი ხარჯი არ მოიპოვება, რომ სამძიმო არ იყოს. საქმე ის არის, რომ ხარჯი სამართლიანი იყოს და არა უსამართლო. ჩემის აზრით, ქალაქს სრული სამართალი მიუძღვის, რომ ურმებზედ ხარჯი შემოიღოს, იმიტომ-რომ სოფლის ხალხი ქალაქის მოედნებზედ აყენებს თავის ურმებს და ისეთს კვალსაც აჩნევს, რომ ქალაქმა უთუოდ უნდა ასუფთაოს და ხარჯი გასწიოს. მეორეც ესა, რომ თუკი თვით მოქალაქეს ვართმევთ მომეტებულს ხარჯსა, როცა მოედნებზედ გამოაქვს თავისი საქონელი გასასყიდად, რატომ სოფლელებს-კი არ უნდა გამოვართვათ. რაიცა შეეხება იმას, ვითომც ეგ ხარჯი დააშინებს სოფლელებსა და ჩარჩების ხელში ჩაიგდებსო, ეგ ფანტაზიაა ბ-ნ მიქელაძისა, მეტი არაფერი. მართლადაც, ორი შაური უნდა გადავახდევინოთ ერთს ურემს შეშაზე, კომბოსტოზე თუ საზამთროზე და აბა რა წარმოსადგენელია, რომ ჩარჩებმა ხელთ იგდონ, რაც რამ ხორაგი და სურსათი ჩამოვა ტფილისში!.. საქალაქო დუქნების შესახებ-კი უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა საბჭოსათვის ცხადი იყო დეფიციტი, მაგრამ მაინც დაადგინა მათი გაუქმება, რადგან უკანონოა მაგეთ დუქნების შენახვა. აგრეთვე უკანონოდ მიაჩნევია ის გარემოება, რომ გამგეობამ აქამდის არ შეასრულა საბჭოს გადაწყვეტილება მათს გაუქმებაზედ. როცა ადმინისტრაცია მაგ დუქნებსა ჰმართავდა, სახეში ჰქონდა, რომ იქ სოფლელებს შიგ თავიანთი საქონელი დაეწყოთ და გაეყიდნათ. ეს აზრი არ განხორციელდა. იქ სოფლელები-კი არა ჰყიდდნენ თავიანთ საქონელს, არამედ ქალაქელები ჰყიდდნენ და დღესაც ჰყიდიან რაღაც ქუნჯუთის ზეთსა და თუ დაგლეჯილ რუსის ფარაჯებსა და დაძველებულ მუნდირებს. ერთის სიტყვით, უნდა შემოვიღოთ ურმების ხარჯი და გავაუქმოთ საქალაქო დუქნები.

ჯორჯაძე. მე მგონია, რომ ურმების ხარჯის შემოღება დიდად საძნელოა ჩვენთვის. ქალაქელებს რომ ვართმევთ ხარჯსა მოედნებზე, ეგ ადვილი საქმეა, რადგან მოქალაქენი დიდი ხანია შეეჩვივნენ მაგასა, სოფლელებს-კი, როგორც შეუჩვევლებს, ეგ ახალი ხარჯი დიდად შეავიწროებს.

ათაბეგოვი. ეგ ხარჯი სრულებითაც არ იქნება შემავიწროებელი, რადგან ურემზე სულ რაღაც ორი შაურია. საქალაქო დუქნები-კი უნდა დავაქციოთ, იმიტომ-რომ ზარალს აძლევენ დიდ შენობების პატრონებს, ვისაც დუქნები აქვთ გამართული.

ჩოლოყაშვილი. ურმების ხარჯი სამართლიანობამ-კი არ გამოიწვია, არამედ გ[ა]ჭირებამა. უეჭველია, ეს ხარჯი დაამძიმებს ცხოვრების უპირველეს საჭიროებას, იზარ[…] მწარმ[…] მეტადრე ღარიბი მ[…] […] ვაცი ჩაუვარ[…]

ლად უნდა შემოვიღოთ ეგ ახალი ხარჯი, საქალაქო დუქნები-კი უნდა დავანარჩუნოთ. აქ არც ის არის მოსატანი, რომ ეს დუქნები უსუფთაოდ ინახება, ამიტომ-რომ ამას ადვილად მოუვლება, და არც ის, ვითომც ზარალს ვაძლევთ დიდ შენობების პატრონებსაო, რადგან ჩვენს დუქნებში უფრო წვრილმანებსა ჰყიდიან და დიდ მაღაზიებში-კი სრულებით სხვა საქონელი აწყვია. ვერც არავინ გვეტყვის, რომ უკანონო იყოს დუქნების შენახვა მოედნებზედ. ეგ სრულებით ჩვენი ნებაა—გვინდა დავანარჩუნებთ დუქნებს, გვინდა დავანგრევთ. მაღას ვერავინ დაგვაცტანს.

მიქელაძე. მე არ მესმის ბ-ნ ჩოლაყაშვილის ლაპარაკი. თუ იგი თანხმაა, რომ ახალ ხარჯის წყალობით გაძვირდება სურსათიო, მაშ ხომ გაუძნელდება ცხოვრება ღარიბ ხალხსა. ღარიბისათვის ერთის კაპეიკის მომატებაც სამძიმოა. ამიტომ კიდევაც ვიმეორებ, რომ, ღარიბთა მდგომარეობის მიხედვით, უეჭველად უარი უნდა ვსთქვათ მაგ ხარჯზე.

ბებუთოვი. ხმოსნებს, მიქელაძესა და ჩოლაყაშვილს, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ღარიბებზე. როგორც ეტყობათ, მაგათ ღარიბები შეუსწავლიათ მველის რომანებიდამ. როგორ არ იციან, რომ ღარიბები ურმობით არა ყიდულობენ არც შეშასა, არც კომბოსტოს და არც არაფერს. მაშასადამე, არც მომეტებულს ხარჯს გადაიხდიან ღარიბები. ან ეგ რა ხარჯია, რომ ფასებზე იმოქმედოს!.. საქალაქო დუქნები-კი უთუოდ უნდა დავშალოთ მიუხედავად დეფიციტისა. ეგ დუქნები აჭუჭყიანებს ქალაქის მოედნებს, ესტეტიკურის მხრით ხომ აუშნოებს და აულაზათიანებს.

ჩოლაყაშვილი. ბ-ნი ბებუთოვი უთუოდ ახალ რომანებსა კითხულობს და თავი მოაქვს ცოდნით. მაგრამ ის აქსიომა-კი ავიწყდება, რომ თუ მწარმოებელს დაადებ ხარჯსა, პირველმა უთუოდ მომხმარებლიდამ უნდა აიღოს. ეს აქსიომაა. სურსათი გაძვირდება, მაგრამ ხარჯი მაინც უნდა შემოვიღოთ. ჩემი აზრი ეს არის, ამასვე ჰფიქრობს ბ-ნი ბებუთოვი, და არ მესმის, რაღაში მეკამათება დარბაისელი ხმოსანი. რაც შეეხება დუქნებისა და მოედნების ესტეტიკას, ერთი ეს მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა დროს ესტეტიკაა, როცა წინ ამოდენა დეფიციტი გვიძევს!..

იზმაილოვი. ბაასის საგანი მხოლოდ ის არის, რომ დღემდის სოფლელებს არას ვახდევინებდით მოედნებზე და ამას იქით-კი გვინდა შევაწეროთ ხარჯი. უკანასკნელ დრომდის ტფილისში დიდი სიძვირე იყო და ამიტომ ახალ ხარჯის შემოღება დიდად შეავიწროებდა მხმარებელსა. ეხლა შედარებით სიიაფე ჩამოვარდა და სწორეთ დროც არის ხარჯის დაწესებისა, რადგან მაგდენად საგრძნობელი არ იქნება. ამ მხრით დეფიციტი არას შუაშია. თვით ეგ დეფიციტიც შემთხვევის საქმე არ არის. დეფიციტი იმიტომ მოგვივიდა, რომ შენობათა დაფასებამ 1884 წლის შამოკლა ჩვენი შემოსავალი წელიწადში 14,000 მანათით. აი აქედამ წარმოსდგა ქალაქის დეფიციტი. ურმებზე ხარჯის დაწესება უნდა გახდეს ერთ-ერთ წყაროდ ქალაქის შემოსავლის გაძლიერებისა, გინდა დეფიციტი გვქონდეს, გინდა არა. ხოლო იმას უნდა ვეცადნეთ, რომ სოფლელებს არ გაუძნელდეთ მაგ ხარჯის გადახდა. მაგალითად გვაქვს ტი[…] […]რჯი. იქ მეტივე მაშინვე-კი არ […]ს, რა წამს ჩამოაქვს ტივი, […]როცა გაჰყიდის ტივსა. […] მოვიქცეთ. როცა გლეხი გაჰყიდის თავის ნაწარმოებს, მაშინ არც ხარჯის გადახდა გაუძნელდება და არც ჩარჩის ხელში ჩავარდება. რაც შეეხება იმ საყვედურს, ვითომც გამგეობა უკანონოდ მოიქცა, რომ არ შეასრულა საბჭოს გარდაწყვეტილება დუქნების დაშლის თაობაზედ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეგ საყვედური უსაფუძვლოა, რადგან კანონი სრულს ნებას გვაძლევს შევაჩეროთ საბჭოს გარდაწყვეტილება, როდესაც საქმის სიძნელე მოითხოვს.

აქ წაკითხულ იქმნა შესაფერი მუხლი კანონისა.

ქალაქის თავმა დაადგინა კითხვები: შემოღებულ იქმნას ახალი ხარჯი, თუ არა და ეხლავ დაინგრეს საქალაქო დუქნები, თუ კიდიდოს ერთის წლის ვადითაო. ხმის უმეტესობით შემოღებულ იქმნა ახალი ხარჯი და დუქნებიც ერთის წლით ისევ დარჩა.

შემდეგ ილაპარაკეს ხმოსან მ. ი. თამამშოვის წინადადებაზე შესახებ საყასბოსი, მაგრამ ამ საგანზე ახალი და საგულის-ხმიერო არა ითქვა-რა, თუმცა ბაასი ცხარე და ხანგრძლივი იყო.

———<>———

# ღიბ:ჭ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბრილი. ამას წინად ბრილელების ამბავი მოკლედ, არა-ვრცლად იყო მოხსენებული; ახლა ამ ამბავს უფრო ვრცლად და წვრილებით შეგატყობინებთ. ჯერ-კი ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ თვითსოფელზედ.

დაბა სურამიდამ რომ ჩრდილოეთისაკენ გა[…] […] და ათი-თორმეტი ვერსი მა[…]ბაროთ, მიიძახდებით სოფ. ბრილში. ეს სოფელი მშვენიერი საზაფხულო ადგილია: ჩრდილოეთითა და დასავლეთით საზღვრავს დიდი მთები, რომელიც მუხის ტყეებით არის შემოსილი; აღმოსავლეთით, იქვე ახლო, უძევს სოფელი ალი, რომელიც საუკეთესო სოფელია აქეთ მხარეს; სამხრეთითაც ბრილს აკრავს დაბალი მუხნარის ტყე, სადაც შუშა და სალოსავი წნელი იჭრება. ამ სოფელს პატარა ველი ჩამოუდის ჩრდილოეთის მთიდგან და ზედ ორი-სამი პატარა სასოფლო ისქვილი მუშაობს; ჰავერი მლიერ კარგი და საღია. სოფელში სცხოვრობს დროებით ვალდებული საბატონო გლეხობა, რიცხვით ოც-და-ათი კომლი; ამისთანა ადგილ-მამული, სახნავ-სათესი თითქმის არც ერთს სოფელს სურამის ახლო-მახლო არ უჭირავს. ყოველს წელს პური ბლომად და საკმაოდ კარგის თვისებისა მოდის; უხვად მოდის სიმინდიცა, ქერიცა, დიკაცა და ლობიოც. აქაურს გლეხებს პატარა ვენახებიცა აქვთ და საკმაოდ კარგი, ტკბილი და გემრიელი სასმელი ღვინოებიც დგება; ბრილში ბოსტნეულობაც მლიერ კარგად ვარგობს. მაგალითად, აქ მოდის: საზამთრო, ნესვი, ხახვი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა-და-სხვა ნაირი მწვანილეულობა. გარდა ამ ნოყიერისა და კარგის ადგილ-მამულისა გლეხებს ახლო აქვთ სანაქებო მუხის ტყე, საიდგანაც გამოაქვთ შენობისათვის მასალა და აშენებენ: სახლსა, ბოსელსა, საბძელსა, ბეღლებსა და სასიმინდეებსა. თვითვეულს აქაურს მცხოვრებს ბლომად ჰყავს შინაური ოთხ-ფეხი: კამბეჩი, ხარი, ძროხა და ღორი. შინაურის ფრინველების მოშენებასაც მისდევენ გლეხები.

ასეთის სუყველაფრით შემკულის სოფლის ადგილ-მამული ეკუთვნის თავად ნ. დ. […]სამიძესა. ზოგ-ზოგი გლეხები-კი ამბობენ: ბრილის ტყე და ზოგიერთი სახნავ-სათესი მიწები ეკუთვნოდა და ეკუთვნის დღესაც ზოგი ეკლესიასა და ზოგიც სახელმწიფოსაო; მაგრამ, როგორც საბუთებიდგანა სჩანს თურმე და სხვათა სოფლების მცხოვრებლებიც ამბობენ, ეს მართალი არ არის: ხსენებული სოფელი თავისის მიწა-წყლითა თ. ნ. დ. დიასამიძეს ეკუთვნის.

ასეა თუ ისე, ამ ორ ხმას გამოუწვევია დღეს დიდი უსიამოვნება. ბრილელებს შეუტანიათ სასამართლოში საჩივარი, რომ ტყე და ზოგიერთი სახნავი მიწები საეკლესიო და სახელმწიფოა და ჩვენს მებატონეს ამისას არას მივცემთო. ეს დავა დღესაც არ გათავებულა და საქმე სენატამდის არის მისული.

სამწუხარო ის არის, რომ ტყუილის დავით მდიდარი გლეხები უნდა გაღარიბდნენ, ტყავი გასძვრეთ სამართალში მისვლა-მოსვლითა, იმათის ოფლით მონაგარი და შენახული ფული და სიმდიდრე უნდა ვიღაც მშიერმა «აბლაკატებმა» ჩაცეცხლონ, შეჭამონ და საქმე-კი ვერაფერი გაუკეთონ გლეხებსა; ან რა საქმე უნდა გაუკეთონ, როდესაც დიდი-პატარა გაიძახის, რომ ბრილელების საჩივარი უსაბუთოაო...

ამას გარდა, რაც მოგახსენეთ, საჩივარი და უსიამოვნება ტყის თაობაზედ, გამოუწვევია, როგორც ამბობენ, შემდეგს გარემოებასაც: წინად ტყის ფულს გლეხები აძლევდნენ წელიწადში მებატონეს კომლზე ხუთს მანეთსა და ტყეს ისე ჰხმარობდნენ, როგორც თვითონა ჰსურდათ. მაგრამ, როდესაც ხსენებულის სოფლის ტყე იჯარით გაიცა და მოიჯარადრემ ტყის ფულს მოუმატა […] აძლევდა გლეხებს ესარგებლნათ ისე და იმ რიგად, როგორც წინად,—მაშინ გლეხებმა უარი გამოაცხადეს ტყის სალბაშის ფულის მლევაზედ და საჩივარი დაიწყეს იმ საბუთითა და იმ აზრით, რომელიც ზემოდ მოგახსენეთ. ეს ხმა რამდენად მართალია, არ ვიცით და ამიტომ ისევ თვით უსიამოვნობის ამბავს მოგითხრობთ.

თ. დიასამიძემ ს. ბრილი თავისის ტყითა და ადგილ-მამულით და კიდევ სხვა პატარა სოფლებიურთ იჯარით მისცა ბ-ნს ყ. გ. მაჭავარიანსა წელიწადში, თუ არა ვსცდებით, ხუთას თუმნად. რა პირობით აიღო ბ-ნმა მაჭავარიანმა სოფლების მამულები, არ ვიცით; არ ვიცით აგრეთვე, რომელს წელიწადში გაიცა იჯარით მამულები. ვიცით მხოლოდ, რომ გლეხებმა 1883 წლის უარი უთხრეს მოიჯარადრეს ტყის სალბაშის ფულების მლევაზედ ზემოხსენებულის მიზეზითა.

როდესაც ტკბილის სიტყვითა და მუდარებით ვერა შეაგონარა გლეხებსა, მაშინ ბ-ნმა მაჭავარიანმა მიჰმართა სურამის სასამართლოს და ისე მოიქცა, როგორც მოხსენებული იყო ამას წინად «ივერიის» მ-31 №-ში. და აი ყ. მაჭავარიანი სასამართლოს და პოლიციის ბოქაულებით მივიდა ს. ბრილში, კიდევ წინადადება მისცა გლეხებსა, მოურიგდეთო, მაგრამ ვერა გზით ვერ დაიყოლია ის ექვსი მოთავე გლეხ-კაცი, რომელნიც დღეს გორის საპყრობილეში სხედან. მთელი ქართლი დღეს თითქმის ამ ამბავზე ლაპარაკობს.

სასამართლოს ბოქაული მოვიდა ს. ბრილში; გლეხები ჩუმად იყვნენ და არას ამბობდნენ. ბ-ნ მაჭავარიანის ჩვენებით სასამართლოს ბოქაულმა, ბატონმა ოჭანეზოვმა, აწერა მარტო შინაური ოთხ-ფეხი საქონელი, რიცხვით 59 სული […] მთელი […] აღწერილ საქონელს გარდა გლეხებს დარჩენოდათ კიდევ სახლში იმდენივე შინაური ოთხ-ფეხი. სჩანს, რომ გლეხები საკმაოდ მდიდრები ყოფილან. ამათ უნდა გამტყუნდეს, ვგონებთ, იმათი აზრი, რომელნიცა ლაპარაკობენ, რომ მაჭავარიანმა საქმე გ[…] შესწუხა და გაადარიბა ბრილელი გლეხებიო. ეს მათი ლაპარაკი რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ ხომ ასეთი სიმდიდრეც არ შერჩებოდათ გლეხებსა!..

აღწერილი საქონელი ჩააბარეს სოფლის მამასახლისსა, მისცეს საკვები ფული ორი თუმანი და დაავალეს, ორი კვირა გამოჰკვებე აღწერილი 59 სული ხარ-კამეჩი და ძროხაო. ჩააბარეს რა საქონელი მამასახლისს, გამოუცხადეს, რომ ერთის კვირის მაგივრად, როგორც კანონია, […] ნებათ მიცემული ორი კ[…] ორის კვირის შემდე[…] ჭავარიანსა (ამ ფულ[…] გარდა), რომელიც […] ეხსადათ, მაშინ აღ[…] ისევ დაუბრუნდებათ […] ტკბილობა ჩამოვარ[…] და მათ შორისაო. […] ხები ყურს უგდებ[…] თითქო იმათ თა[…] არ არისო. მაგრ[…] ხლისმა დაირეკ[…] ხლისკენ და […] ციის ბოქაულ[…] სვლელად, […] მოუყოლდნენ […] ორისა და […] მთელი სო[…] […] ხანჯლებ[…] მამასახლისს […] თავიანთ ბო[…] არა მომხდარ[…] ამ დროს იქ […] ბოქაული, […] ჩაფრებითა და […] რომ ერთის […] როგორც იყო ა[…] დააშოშმინეს, დააწყნა[…] ვეტები წაართვეს; მაშ[…] ნით ოქმი შეუდგინეს […] ნააღმდეგობაზედ და შე[…] მოვიდნენ, რადგანაც საქო[…] რედ აღარ წაართვეს, რას[…] შიშის გამო. მეორე დღეს […] შედგენილი ოქმი და ხანჯლ[…] ჩამოიტანეს და წარადგინეს […] არის.

ერთის კვირის […] თავიანთ მხრით […] ზავნათ სურამშ[…] და თავად დი[…] დნენ მოცი[…] ვირაგდით[…] მიძმე შე[…] დეგი: „[…] გადაწყვეტი[…] ჩემს მოიჯ[…] თქვენ წინ[…] მართლოში[…] სიტყვით, […] დანაშაუ[…] მითხარი[…] შეჩვენებ[…] ლიც […] დოს […] სარგ[…] სჩა[…]

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ართ და ნუ ახსრებთ, მანამდის არ გათავდება ან თქვენსა და ან სასარგებლოდაო.

...ესები მეორე დღესვე ჩამოვიდნენ, მ მორიგებით მაინც ვერ მორიგ- რადგანაც გლეხები ამბობდნენ, რომ ესა, რომელიც ჩვენს საქმეებს გვი- ს და გვარიგებს, ვერ დავისვენ- ო. ამავე დღეს სურამის გამო- ემა ეს გარემოება გამოიძია და ოზედ ეძვსი გლეხ-კაცი: შიო ელიშვილი, დავით დევაძე, გაბრო იშვილი, გლახა ქართველიშვილი, ჩუბინიძე და ალექსო იმერლი- გორის საპყრობილეში გაგზავნა. ენ, რომ არ გაუშვიათ რამდენსამე და ამ გლეხთაგან ბ-ნ ყ. მაჩავარიანს ...ის აქაურს სომეხს წერილი მოუ- საპყრობილიდამაო. სხვათა შო- ...რას სწერენ ვითომ გლეხები: ...ატონო ყარამან მაჩავარიანო, პირ- შემძლებელს ღმერთსა ვსთხოვთ ნს სიცოცხლესა. ახლაც გთხოვთ ...რიბლესადა, როგორც ჩვენ ხელში ...ეილს, გაპატიოთ შეცოდება ჩვენი, ...რადაც უსწავლელს ხალხსა, და- ...ხნით ამ მწუხარებისაგან; გვაქვს ...ა კიდევაც, რომ ჩვენს თხოვნას ...ლებთ; ვითომც ერთი ეკლესია ...ნებინოთ, ისე მადლი იქნება ჩვენი ...ან დახსნა. როგორც მოხუცებულნი, ...თთქვენი და თქვენის ცოლ-შვილის ...ელი. თქვენის ცოლ-შვილის სა- ...რძელოდ გვაპატიეე შეცოდება და ...ხსენ ამ ჯოჯოხეთიდგან. თქვენს ...ა ჩვენ ვერავინ გვიშველის. თქვენ ...ღარიბი არა ბძანდებით, რომ ჩვენი ...ენა მოგვენდომებინათ. მაგრამ ეშმა- ...კი ასრე გვიყო, რომ თქვენს თავსაც ...ეულებდა და აქაც ჩაგვყარა. ახლა ...ჩვენს შეცოდებას გვაპატიებთ, ...ენც ღმერთი კეთილს მოგცემთ. ...ვაც გვაქვს იმედი, რომ განახავ და ...ანვე დაწერილებით მოგახსენებთ იმ ...ის ეშმაკის წინამძღოლობასა.»

...ამ წარიგვე წერილი მოსულია სურამ- ...ერთს აქაურს სომეხსა, რომელსაც ...ელი გლეხები ეხვეწებიან: როგორ- საპყრობილიდგან დაგვიხსენი და ...ობა ჩამოაგდე ისევ მოიჯარად- ...ა და ჩვენ შორისაო. ხნანს, რომ ...ხები სხვის სიტყვით გაბრიყვებუ- ...ა და ახლა დანანაულზედ თავსა ...ენ. ვინ იცის, საწყლები ბოლოს ...ოს სამუდამოდ დაიღუპნენ და ის-კი, ...ც გააბრიყვა გლეხები და გაავცქნა, ...მიდრე დასტუა, ახლა კუთხეში მი- ...ს, გლეხებს ყური აღარც-კი ათხოვოს ...მრიელად შექცევს... იმათგან აღე- ...ს ღუპმასა...

საამბაშოელი

## ...რილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

...უმორჩილესადა გთხოვთ გამოა- ...ადოთ თქვენს გაზეთში, რომ მე ...ა ვარ ავტორი იმ წერილებისა ...ამბებისა ივრის-ხეობიდგან, რო- ...ლნიც დაბეჭდილნი იყვნენ «ივე- ...ია»-ში ამ შარშან ენკენისთვიდამ და- ...ებული დღემდის. მე ამით დამიხ- ...ოო იმ ჭორებისაგან, რომელსაც ...ოგიერთნი განზრახ ავრცელებენ.

...ამასთან უადგილო არ იქნება ...მეუნოდ აღვიარო, რომ თუმცა ...დიდად და დიდად პატივსა ვსცემ ...გაზეთო ამბებსა და წერილების ...აწერთა შრომას, მაგრამ რადგან ...ეს ხვედრად მხვდა ჩემსავე სო- ...ელში მოზარდის თაობის ხელ- ...ვანელობა სასწავლებელში, მეც ...ელი ჩემი შრომა და ცდა მინდა მხოლოდ ამ საქმეს მოვანდომო. ამიტომაც საძრახისად არ მიმაჩნია არ მივაქციო ყურადღება აქაურს სასოფლო საქმეებს.

საგარეჯოს ორ-კლასიანის სასოფლო სასწავლებლის ზედამხედველი შაქრო გულისაშვილი

## უცხოეთი

**გერმანია.** მეცხრე დღეზე ძლივს მოგვივიდა გაზეთები რუსეთისა და აუარებელი ამბები მოგვიტანა ევროპისა. რადგან ამ ჟამად ყველასათვის უფრო იმპერატორის ვილჰელმის გარდაცვალების ამბავია საყურადღებო, ამიტომ ჩვენც ამ ამბავს მოვუთხრობთ მკითხველებს დაწერილებით.

23 თებერვალს იმპერატორმა ყურადღებით მოისმინა ყველა მოხსენებანი. მეორე დღეს-კი ძრიელ დასუსტდა და ექიმებს შიში მიეცათ. 25 თებერვალს დილით სისუსტემ უფრო უმატა. იმ დღეს ინახულა თავისი შვილიშვილი პრინცი ვილჰელმი, რომელიც ის იყო სან-რემოდამ დაბრუნდა, და დიდხანს ელაპარაკა მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობაზე. მერე ლაპარაკი ჩამოაგდო სამხედრო და საპოლიტიკო საქმეებზე. 26 თებერვალს მიიღო დიდი ჰერცოგი ბადენისა მეუღლითურთ, მწუხარებით ელაპარაკა ამათ გარდაცვალებულს პრინც ლუდვიგზე, კრონ-პრინცზე და თავის ავადმყოფობასა და სიკვდილის მოახლოვებაზე.

შუადღისას იმპერატორმა ბისმარკი მოითხოვა და დიდხანს ელაპარაკა საპოლიტიკო საქმეებზე და მადლობა გამოუცხადა სამსახურისათვის. მერე თან-და-თან აზრი აერია და ხმა მიუსუსტდა. ნაშუადღევის 5 საათზე სისუსტემ უმატა. მთელი სამეფო ოჯახი გარს ერტყა გაჭირებულს ავადმყოფს. სულთ-მობრძავ ავადმყოფთან იყვნენ აგრეთვე ნათესავნი მისნი, ფელდ-მარშალი მოლტკე, სამხედრო და სხვა მინისტრები. ექიმები ჰშველოდნენ იმპერატორს წამოდგომასა. იმპერატორს იმპერატრიცა ავგუსტას ხელი ეჭირა; ყველაზე ახლო უდგა ბადენის ჰერცოგის მეუღლე და მეუღლე პრინცის ვილჰელმისა. იმპერატორმა კარის მღვდელი მოითხოვა, 6 საათზე იმპერატორს გული შეუწუხდა და შეაშინა გარსმყოფნი. მაგრამ იმპერატორს მალე გაუარა გულის-წუხილმა, მალე კვლავ იცნა ყველა წევრნი თავის ოჯახისა, იკითხა მოლტკე და პრინცი ვილჰელმი, რომელსაც კარგა ხანს ელაპარაკა. ლაპარაკში შეეტყო, რომ სიცხისაგან ჰბოდავდა იმპერატორი. ჯერ ავადმყოფი ლაპარაკობდა პრუსიის ერზე, მერე მოკავშირე სახელმწიფოებზე გადავიდა და ბოლოს მოსალოდნელ ომზე დაიწყო ლაპარაკი მეზობელ ერთა შორის.

საღამო თითქმის სულ ასე გაატარა და ცოტ-ცოტას ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მხედრობაზე, ერზე, იგონებდა თავის ლაშქრობის ამბავს. დილის სამს საათზე თავის ოჯახის წევრთ სათითაოდ ხელი ჩამოართვა. მერე ცნობა დაჰკარგა, თუმცა არავითარი ტანჯვა არ ეტყობოდა. 27 თებერვალს, დილის 8 საათზე და 30 წუთზედ, მშვიდობიანად, უტანჯველად გარდაიცვალა.

— ლონდონში 9½ საათზე გაიგეს ეს ამბავი. ყველა აღელვა და შეაწუხა ამ გარემოებამ. დროშანი ყველგან ჩამოუშვეს ნახევრობამდე და ბევრგან ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარეს ნიშნად მგლოვიარობისა. დიდ-ძალი ხალხი შეკრებულიყო რედაქციებ წინ და მწუხარებით კითხულობდა დიდის ასოებით დაბეჭდილს განცხადებას გერმანიის იმპერატორის გარდაცვალებისას. 10 საათზე გერმანიის ელჩს მიუსამძიმრა პრინცმა ვალიისამ. შემდეგ ყველა სადიპლომატო კრებულის წევრნი მივიდნენ და სამძიმარი გამოუცხადეს. გლადსტონი თითქმის პირველი მივიდა ელჩთან და ჩაეწერა მნახველთა წიგნში.

— რომშიაც ძალიან შეაწუხა ხალხი და საზოგადოება. კრისპიმ დიდის მწუხარებით გამოუცხადა ეს ამბავი პალატას. პალატის კრება, ნიშნად გლოვისა, რამდენისამე დღით გადიდო.

— პარიჟში ეს სამწუხარო ამბავი შეიტყო პალატამ $10^{1}/_{2}$ საათზე. რესპუბლიკის პრეზიდენტმა სამძიმრის წერილი სან-რემოს გაუგზავნა მემკვიდრე პრინცსა.

— ვენაში პალატის თავ-მჯდომარემ სმოლკამ უთხრა რეიხსტაგს: სამწუხარო ამბავი უნდა შეგატყობინოთო (დეპუტატები ამ სიტყვაზე ფეხზე წამოდგნენ), დღეს დილით გარდაიცვალა ჩვენი მოკავშირე და ავსტრიის მეგობარი იმპერატორი ვილჰელმიო. იმისი გარდაცვალება ისე შეაწუხებს ავსტრიასაც, როგორც გერმანია შეაწუხაო. ნიშნად გლოვისა დღევანდელი კრება პალატისა გადამიდვიაო.

**ინგლისი.** ამ დღეებში ო'ბრიენს, ირლანდიის თვით-მმართველობის მომხრესა და მეთაურს, დიდის მჭევრ-მეტყველებით წარმოუთქვამს სიტყვა პარლამენტში. ერთს მინისტრად ნამყოფს უთქვამს ამ სიტყვის თაობაზე, რომ ო'ბრიენის სიტყვა სანაქებო სიტყვა იყო ყველა იმ სიტყვათა შორის, რომელიც-კი მსმენია ოდესმე პარლამენტშიო. თვით გლადსტონის სიტყვებსაც არ ჩამოუვარდებოდა ო'ბრიენის მიერ წარმოთქმული სიტყვაო. «ასე გვგონებოდათ, ცეცხლი ჩამოვარდა ციდამაო — სწერენ ამ სიტყვის გამო რადიკალი გაზეთები, — დაეცა მინისტრების სკამსა და დასწვაო. ამ გვარი სიტყვა იშვიათად გვსმენია და ისეთი ხომ არც-კი გაგვიგონია არას დროს, რომელიც ო'ბრიენის სიტყვის სწორი ყოფილიყოს ღრმა მოფიქრებითა, დიადის აზრებითა, ცხოვრების ცოდნითა. ყოველივე ეს გამოითქვა ისეთის სიტყვებით, რომელიც ადიდებულს მთის წყალს ჰგავდა, გამოითქვა თუმცა მოუმზადებლად, მაგრამ ისე კარგად, რომ ბევრი სიტყვა, ღამე მოფიქრებული კაბინეტში, ვერ დაებაძება ო'ბრიენის სიტყვასაო. რას ილაპარაკებდა ამ სიტყვაში ო'ბრიენი? ცხადია, მხოლოდ ირლანდიის ამბავს მოუთხრობდა, იმის გაჭირებულს მდგომარეობას დაუხატავდა პარლამენტს და ითხოვდა, რომ ცალკე პარლამენტი უნდა მიეცეს ჩემს სამშობლო ქვეყანასაო. და მართლაც ამაზე ულაპარაკნია. პირველად, რომ ირლანდიის საქმეზე დავიწყეთ ბრძოლა, პარლამენტში ყველა ჩვენი მტერი იყოვო. ეხლა გლადსტონის წყალობით ინგლისში და პარლამენტშიაც ბევრი მომხრენი და მეგობრები გვყავსო. მე მამტყუნებენ, უკანონოდ რად იქცეოდი, ერს რად აქეზებდი უკანონოდ საქციელზეო, მაგრამ განა შეიძლება გავამტყუნოთ ის, ვინც ხელს დაუჭერს ჯალათს, როცა იცის, რომ ჩქარა მოვა ბრძანება მსჯავრ-დადებულის განთავისუფლებისაო? და აკი მოვიდა კიდეც ბრძანება, რომლის ძალითაც უკეთესი ურთიერთობა ჩამოვარდა მემამულეთა და მამულის მეიჯარადრეთა შორისაო. სამინისტრო, რომელიც ეწინაალმდეგება ირლანდიას, უძალოა, ყველა იმისი ღონე და სახსარი უსარგებლო და ამაო გამოდგა. როცა მე დამწყვდეული ვიყავ ციხეში, ათას ცილსა მწამებდნენ. ყველაზედ დიდი საშინელება ის იყო, რომ არც წიგნს მაკითხებდნენ, არც საწერ-კალამს მაძლევდნენ. მეშინოდა ჭკუაზე არ შევმცდარიყავ და, რათა გონებას კანონიერად ემუშავნა, იძულებული ვიყავ მომეგონებინა და მომეფიქრნა ყოველი ადგილი და ნალაპარაკევი, რაც-კი მენახა და გამეგონა ჩემს სიცოცხლეშიო.

ბალფურს პასუხი უნდა მიეცა ო'ბრიენისათვის და შენიშვნებს სწერდა, მაგრამ მალე ისე გაიტაცა ორატორის ლაპარაკმა, რომ მიატოვა საწერ-კალამი და სმენად გადიქცა. სიტყვის გათავებისას დიდხანს არ შეწყვეტილა ტაშის კვრა. ბალფურმა მაშინვე ვეღარ გაბედა პასუხის მიცემა და შემდეგისათვის გადასდო.

## წვრილი ამბები

— სად უფრო ბევრი ქორწინება და ჯვარის-წერა ჰხდება? — ამ საკითხავზედ სტატისტიკა ამბობს, რომ უნგრიასა და საქსონიაშიო. 1873—1886 წლებში უნგრიაში 1,000 მკვიდრზედ ორთა-შუა რიცხვით 20,2 ქორწინება მოდიოდა, საქსონიაში-კი — 18,5. ამას მოჰყვება პრუსია (16,6 ათასზედ), ავსტრია, ინგლისი, დანია, იტალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები და ბავარია (15-ზედ მეტი), შვეიცარია, ბელგია და ნორვეგია (14-ზედ მეტი), შოტლანდია და შვეცია (13-ზედ მეტი) და დასასრულ ირლანდია (9-ზედ ნაკლები). 1873—1875 წლებში როგორც პრუსიასა, ბავარიასა და საქსონიას, აგრეთვე საფრანგეთშიაც დიდ-ძალი ქორწინება და ჯვარ-წერა მოჰხდა. ეს იმიტომ იყო ასე, რომ ზემოხსენებულს წლებს წინ უძღოდა საფრანგეთისა და გერმანიის ომი, რომლის გამოც არამც თუ ბევრმა თავის ცოლ-შვილს დაანება თავი, არამედ ახალგაზდანიც არ იწერდნენ ჯვარსა, ვიდრე ომი და ბრძოლა არ გათავდებაო. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ 1877 წლიდგან საფრანგეთში ჯვარის-წერისა და ქორწინებათა რიცხვს თითქმის არც უმატნია და არც უკლია.

— წლეულს თეატრების დაწვა და ცეცხლისაგან განადგურება მეტის-მეტად ხშირია. 16 თებერვალსაც ოასსაში დამწვარა საერო თეატრი. ვერც დეკორაციები და ვერც ტანისამოსი ვერ გადაურჩენიათ; ცეცხლს ხალხთაგანი არავინ უმსხვერპლია.

— ლონდონიდგან იუწყებიან ამას წინად ბურტონ-ტრენტსკის თეატრში მომხდარს უბედურებაზედ შემდეგს ცნობებს. ამ უბედურს საღამოს არდგენდნენ თურმე „მარია მარტენს“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა გარრი ლორრენი, შვილი გამოჩენილის არტისტის ლორრენისა. გარრის დამბაჩა უნდა ესროლნა სცენაზედ მოთამაშე ქალისათვის, დამბაჩა გასკდა და ხელი დაუშავა, მერე ისე საშინლად, რომ ერთი თითი სულ ერთიანად მოავლიჯა და შორს გადისროლა. საზოგადოებაში ერთი ალიაქოთი ასტყდა თურმე, ზოგიერთი ქალები გულ-შემოყრილნი დაეცნენ, ასე რომ ბოლოს ფარდა ჩამოუშვეს. საბედნიეროდ, მაყურებელთა შორის ექიმი აღმოჩნდა და შეუხვიეს ხელი დაშავებულს არტისტს. ხოლო წარმოდგენა-კი ვეღარ განაგრძეს თურმე, რადგან ხალხი მეტად გულ-გახეთქილი იყო და აღარ დადგა თეატრში.

— ვენაში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია თურმე ატეხილი იმის გამო, რომ პოლიციას დაუპატიმრებია ერთი ოჯახობა უმაღლეს არისტოკრატიისა. ეს ოჯახობა შესდგება გრაფის ცოლის შმეტისა, 44 წლისას, და იმის ორის ქალისაგან, რომელნიც 15 და 16 წლისანი არიან. ამ ქალებს ის ბრალი ედებათ, რომ დიდ-ძალი ძვირფასი ნივთები მოუპარავთ ერთის ოქრომჭედლისაგან. ამ დედაკაცის ქმარი ამ რამდენისამე წლის წინად გარდაცვლილა ისე, რომ თავის ცოლ-შვილისათვის არაფერი დაუტოვებია. 1886 წ. გრაფის ცოლი გაჰგზავნეს თურმე პეტერბურგში, რადგან ვერაფრით დაამტკიცა, თუ რითი სცხოვრობდა და იკვებებოდა. ამავე წელს ეს დედაკაცი დრეზდენში წავიდა და იქაც სახელი გაიტეხა თავის არა-საკადრისის ქცევითა და ხელ-მრუდობითა.

— ჩიკაგოში მოუკლავთ ამას წინად ექვსის-შვილის მილიონისა და 500 სახლის პატრონი სნელლი. ეს კაცი დამბაჩით მოკლული უპოვნიათ თავის საკუთარს სახლში. მოკლული 65 წლისაა. ნათლადა სჩანს, ეს ავაზაკობა იმიტომ ჩაუდენიათ, რომ გაეძარცვათ მდიდარი და შეძლებული კაცი. პოლიცია ბევრსა სცდილობს, მაგრამ ჯერაფრით მიუგნია ავაზაკებისათვის.

— ამას წინად პარიჟში გამოვიდა წიგნი «La Prusse et son roi pendant la guerre de Crimée». ამ წიგნის ავტორი, ბ-ნი როტანი, ამბობს, რომ ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტმა ედლერ დუმრეისენ-ფონ-ესტრეიხმა ერთხელ წიგნი დასწერა დიპლომატობაზედ, რომელიც ამ თანამდებობის შესწავლის სახელმძღვანელოდ უნდა ჩაითვალოსო. ამ წიგნში ნათქვამია, რომ კარგია, თუ დიპლომატმა ქაღალდის თამაშობა იცის და ამ საშუალებით სცდილობს ხალხი გაიცნოს და სხვა-და-სხვა ცნობები შეჰკრიბოსო. ბევრს დიპლომატებს ამ საშუალებამ დიდი სიკეთე და სარგებლობა მოუტანაო. საფრანგეთის ერთი ელჩი ბერლინში, ბ-ნი ბრესსონი, ყოველ საღამოს თამაშობდა ფრიდრიხ-ვილჰელმ III ქაღალდსა და ქაღალდის თამაშობის დროს სიტყვას ჩამოუგდებდა ხოლმე სხვა-და-სხვა საპოლიტიკო ამბებზე. ქაღალდმავე შეჰყარა ერთად ბ-ნი როტანი ფრანკფურტში, გრაფ ბულო და თავადი გორჩაკოვიო.

— ლონდონში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ოთხი გაზეთი გამოდის თურმე ისეთი, რომელიც მუდამ დღე 200,000 ეგზემპლიარი იბეჭდება.

## გასართობი

როგორც ყველგან, აგრეთვე გერმანიაშიაც კადეტებს აღკრძალული აქვთ თამბაქოს წევა და თუ მოასწრო ვინმე, მაშინვე სასტიკად დასჯილი იქმნებიან. ამბობენ, რომ 1875 წელს, სასახლის ერთს დღესასწაულზედ, გერმანიის ახალმა იმპერატორმა, ფრიდრიხ მე-III შენიშნა თურმე, რომ კადეტიდ. რომელსაც ერთის კვირის შემდეგ ოფიცრობა უნდა მისცემოდა, ძალიან დანაღვლიანებული და მწუხარე იყო. ეხლანდელმა იმპერატორმა გერმანიისამ, ხოლო მაშინ მემკვიდრე პრინცმა გამოიკითხა თურმე მიზეზი, თუ რამ დაგაღონა და დაგაძმარა აგრეო. უმაწვილ-კაცს გულ-მართლად უამბნია, რომ ჩუმად თამბაქოსა ვსწევდი, მომასწრეს და ამიტომ ხვალ მთელი დღე დამწყვდეული უნდა ვიყვე, ხოლო მე ის მაწუხებს, რომ ეს გარემოება იმოქმედებს ჩემს ოფიცრად გახდომაზე და გამოცდის დროს ყოფა-ქცევისათვის ცუდს ნიშანს დამისვამენო. მემკვიდრე პრინ-

ცმა გული გაუკეთა თურმე, რომ ნურაფერს დალონდები, შეუძლებელია ცუდის ყოფაქცევის გამო ოფიცრობა აღარ მოგცენ, შენ ოღონდა ეცადე და გამოცდისათვის კარგად მოემზადე, იმიტომ მაინც, რომ ოფიცრობა მიიღო და იმდენი სწიო თამბაქო, რამდენიც შენს სულსა და გულს უნდოდესო. ყმაწვილმა კაცმა მემკვიდრე პრინცის რჩევა მხედველობაში მიიღო, ერთი დღე დამწუხდეული იყო, შემდეგ ისე მოემზადა გამოსაცდელად და ისე მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი, რომ იმპერატორისაგანაც-კი ქება მიიღო. პატარა ხანს უკან ამ ახალმა ოფიცერმა მიიღო თურმე რამდენიმე გირვანქა თამბაქო და ასიოდე ცალი სიგარა მემკვიდრე პრინცისაგან საჩუქრად. ამ საჩუქართან იყო აგრეთვე მემკვიდრე პრინცის საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი: ,,ყმაწვილებს თამბაქოს წევა ნალველს მოუტანს ხოლმე, ხოლო ვაჟკაცებს ასიამოვნებსო".

**

გერმანიის ერთის სოფლის მღვდელს შეუნიშნავს, რომ იმ დროს, როცა ქადაგებასა ჰკითხულობდა, რამდენიმე კაცი შევიდა ეკკლესიაში დასველებული. გარედ თურმე საშინელი წვიმა იყო და ზემოხსენებულნი კაცნი ეკკლესიას შეეფარნენ. გაჯავრებულს მღვდელს უთქვამს: მე ჩემს დღეში არა მყვარებია ის ხალხი, რომელთაც სარწმუნოება თვალის ასახვევად უწამებიათ, და მით უფრო მომეტებულად მძაგს ისინი, რომელთაც ეკკლესია ქოლგა ჰგონიათ და არა ღვთის სახლიო.

# დეპეშა

### 7 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს საღამოს საგანგებო მატარებლით დაბრუნდნენ პეტერბურგს მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი.

**ბერლინი.** გამოცხადებულია სამეფო ეპისტოლე პრუსიის სეიმის მიმართ: ფრიდრიხ III, რადგანაც არ შეუძლიან თვითონ წარმოსთქვას ფიცი, წერილობითს ფიცს იძლევა, რომ კონსტიტუციას არ დავარღვევო; ფრიდრიხი აცხადებს, რომ იმედი მაქვს დავამკვიდრო საერო ბედნიერება და კეთილდღეობაო. ეპისტოლეში რეიხსტაგის მიმართ იმპერატორი ამბობს, რომ დავიცავ საიმპერიო კონსტიტუციის შეკრულობათა, სიმართლეს, წესიერებას და იმპერიის სახელსა და ვეცდები მშვიდობიანობა არ დაირღვესო. ჯარის გაძლიერება-კი მამიჩემის ანდერძიაო.

**პარიჟი.** ბულანჟეს მომხრეებმა დაჰბეჭდეს წერილი ორის დეპარტამენტის ამომრჩეველთა მიმართ, რომელშიაც ჰკიცხავენ ბულანჟეს გამოისობით მართებლობას და პარლამენტს. პარლამენტის მემარცხენეთა უკიდურესს დასს განზრახვა აქვს გამოსცეს მონიფესტი ხსენებულის წერილის წინააღმდეგ.

### 8 მარტი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა დებულება სამხედრო-სამტრედო ფოსტისა, რომელიც იმართება ციხეებსა და სხვა ადგილებში.

**ბერლინი.** კარის-კაცთა და სამხედროთა შორის ლაპარაკობენ, რომ დიდმა მთავრებმა სანაქებოდ შეასრულეს თავიანთი მინდობილობაო. ეს გარემოება საუკეთესო თავ-მდებია სამეგობრო ურთიერთობისა შემდეგშიო. წევრნი რუსეთის სამხედრო დეპუტაციებისა, რომელნიც ინახულა იმპერატორმა ფრიდრიხმა, დიდის ალტაცებით ლაპარაკობენ, რომ ყოველს ჩვენგანს ყოვლად მოწყალედ მოექცა ახალი ხელმწიფეო.

**პარიჟი.** მთავარ-მინისტრმა სთქვა დეპუტატთა პალატაში, რომ ბულანჟეს ქცევის გამო იმას გარდა, რაც პასუხის გებაში ჩავარდა ეს გენერალი, მთავრობამ გარდასწყვიტა სხვა ღონის-ძიებაც მიიღოს იმის წინააღმდეგაო. ამ ღონის-ძიების ამბავს ხვალ შევატყობინებ პარლამენტსა. უმწვერვალეს მემარცხენეთა დასმა მანიფესტი გამოსცა ყველა საფრანგეთის მამულიშვილთა მიმართ და ურჩევს: ერის ხმას ნუ დაველკითხებით და ნუ ავყვებით ბულანჟეს სასარგებლოდა, თორემ შეიძლება ამ აყოლას ერთის კაცის გაბატონება მოჰყვეს და ერთის კაცის გაბატონებამ კიდევ ვაითუ ამოჰხუთოს თავისუფლება შინ და დამარცხება შეგვძლვნას გარედაო.

### პეტერბურგის ბირჟა 3 მარტი

| | მიცემულ-სა. | გამცვლე-ბელისა. | გაცვლი-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 67 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 193 ,, |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 267, , |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 246¾ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | 98 ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | 98 ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | 83½ |

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟში 1 მარტს 1888 წ. ხუთას მანათიანი მოგება ჰრგებია შემდეგს 5% ბილეთებს მეორე შინაგანის სესხისას.

| №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 10,241 | 18 | 6,078 | 9 | 7,211 | 7 |
| 176 | 40 | 12,833 | 11 | 803 | 34 |
| 9,203 | 26 | 113 | 3 | 7,470 | 49 |
| 7,740 | 34 | 2,744 | 48 | 13,609 | 29 |
| 8,317 | 50 | 12,922 | 45 | 3,296 | 50 |
| 7,384 | 11 | 10,920 | 18 | 8,080 | 50 |
| 11,375 | 24 | 471 | 31 | 17,397 | 31 |
| 3,005 | 45 | 613 | 20 | 3,551 | 23 |
| 1,522 | 37 | 13,600 | 32 | 7,871 | 7 |
| 10,563 | 6 | 18,726 | 35 | 9,899 | 29 |
| 12,685 | 18 | 12,268 | 49 | 9,545 | 42 |
| 16,564 | 33 | 15,504 | 1 | 9,134 | 43 |
| 8,214 | 44 | 8,310 | 27 | 16,707 | 19 |
| 14,232 | 43 | 19,426 | 32 | 8,331 | 47 |
| 11,233 | 12 | 7,676 | 10 | 6,668 | 23 |
| 11,422 | 2 | 6,680 | 14 | 16,867 | 22 |
| 7,785 | 30 | 15,139 | 30 | 2,283 | 25 |
| 4,894 | 35 | 2,020 | 20 | 6,107 | 16 |
| 3,032 | 39 | 4,290 | 45 | 3,848 | 3 |
| 3,473 | 33 | 18,279 | 39 | 12,696 | 27 |
| 12,850 | 35 | 14,742 | 15 | 2,966 | 5 |
| 18,989 | 2 | 1,062 | 37 | 1,539 | 41 |
| 2,868 | 17 | 8,865 | 38 | 16,766 | 44 |
| 1,473 | 17 | 19,133 | 2 | 9,235 | 46 |
| 11,482 | 1 | 8,201 | 4 | 16,533 | 23 |
| 16,368 | 34 | 420 | 19 | 16,756 | 3 |
| 16,278 | 14 | 10,042 | 30 | 17,009 | 47 |
| 13,050 | 17 | 2,722 | 12 | 8,427 | 10 |
| 6,161 | 27 | 15,638 | 4 | 17,802 | 41 |
| 17,023 | 4 | 738 | 40 | 14,001 | 42 |
| 9,671 | 41 | 8,155 | 38 | 3,937 | 41 |
| 19,369 | 8 | 18,221 | 9 | 10,703 | 21 |
| 12,279 | 47 | 18,408 | 34 | 10,202 | 10 |
| 4,902 | 19 | 6,355 | 21 | 16,422 | 34 |
| 17,026 | 24 | 14,813 | 11 | 3,032 | 28 |
| 3,570 | 8 | 267 | 40 | 18,999 | 19 |
| 19,470 | 17 | 5,057 | 50 | 12,046 | 50 |
| 10,447 | 6 | 3,302 | 25 | 112 | 16 |
| 1,603 | 15 | 12,712 | 32 | 17,280 | 34 |
| 5,017 | 2 | 10,960 | 35 | 16,218 | 20 |
| 12,529 | 40 | 18,711 | 18 | 3,770 | 46 |
| 2,143 | 25 | 8,374 | 44 | 13,931 | 11 |
| 7,635 | 11 | 10,068 | 48 | 14,143 | 18 |
| 14,217 | 33 | 2,431 | 48 | 5,658 | 23 |
| 14,422 | 21 | 4,256 | 46 | 2,209 | 20 |
| 5,794 | 41 | 19,661 | 40 | 16,119 | 23 |
| 15,245 | 47 | 14,508 | 46 | 4,327 | 3 |
| 3,744 | 28 | 10,196 | 33 | 4,000 | 42 |
| 16,443 | 7 | 15,390 | 7 | 12,998 | 12 |
| 11,314 | 44 | 19,752 | 16 | 7,732 | 9 |
| 5,066 | 7 | 16,233 | 21 | 3,646 | 6 |
| 16,110 | 30 | 6,511 | 42 | 7,360 | 16 |
| 11,002 | 3 | 9,210 | 37 | 19,713 | 29 |
| 5,549 | 5 | 6,041 | 33 | 9,045 | 15 |
| 16,883 | 26 | 4,213 | 20 | 14,759 | 45 |
| 11,960 | 44 | 13,070 | 34 | 13,199 | 40 |
| 3,653 | 12 | 6,209 | 29 | 8,310 | 2 |
| 545 | 49 | 731 | 6 | 6,443 | 8 |
| 16,127 | 8 | 11,107 | 5 | 1,238 | 13 |
| 6,806 | 15 | 19,526 | 43 | 12,912 | 12 |
| 18,276 | 2 | 16,272 | 32 | 10,893 | 25 |
| 8,600 | 28 | 4,005 | 18 | 15,060 | 1 |
| 16,399 | 22 | 5,902 | 50 | 10,606 | 44 |
| 4,812 | 30 | 16,064 | 25 | 4,193 | 49 |
| 4,096 | 41 | 19,668 | 40 | 13,160 | 34 |
| 6,175 | 44 | 8,787 | 31 | 3,417 | 34 |
| 15,919 | 36 | 14,853 | 5 | 8,441 | 31 |
| 18,521 | 2 | 14,155 | 8 | 2,187 | 44 |
| 15,966 | 36 | 12,469 | 37 | 16,689 | 37 |
| 557 | 20 | 19,312 | 29 | 17,971 | 26 |
| 5,192 | 1 | 7,960 | 23 | 15,362 | 9 |
| 420 | 9 | 19,667 | 24 | 10,284 | 16 |
| 17,360 | 35 | 3,898 | 12 | 2,475 | 34 |
| 19,893 | 47 | 10,238 | 10 | 7,084 | 34 |
| 12,409 | 37 | 264 | 31 | 2,261 | 26 |
| 2,623 | 7 | 3,977 | 45 | 7,395 | 11 |
| 19,841 | 5 | 19,160 | 19 | 13,783 | 8 |
| 11,327 | 45 | 4,291 | 25 | 13,483 | 25 |
| 14,964 | 8 | 914 | 45 | 8,092 | 37 |
| 8,164 | 31 | 15,713 | 48 | 3,356 | 36 |
| 14,080 | 36 | 17,428 | 50 | 11,922 | 35 |
| 702 | 36 | 4,295 | 15 | 18,696 | 3 |
| 18,296 | 45 | 15,881 | 15 | 10,551 | 21 |
| 14,899 | 30 | 6,767 | 5 | 12,558 | 15 |
| 13,429 | 21 | 982 | 41 | 661 | 7 |
| 981 | 11 | 12,694 | 46 | 1,636 | 16 |
| 13,332 | 39 | 11,112 | 46 | | |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგს, 1888 წელს 1 ივნისიდგან

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ.

19,980, 5,526, 15,213, 15,871, 17,774, 7,161, 7,546, 17,568, 13,161, 5,637, 19,963, 4,786, 18,561, 879, 8,783, 13,400, 6,176, 8,052, 6,704, 13,177, 3,526, 4,714, 19,339, 4,935, 17,526, 7,212, 14,278, 5,840, 16,373, 1,577, 12,101, 311, 2,507, 15,615, 3,290, 397, 11,018, 9,749, 15,466, 4,336, 19,054, 6,460, 3,748, 8,064, 7,300 5,202, 7,022, 14,994, 4, 10,599, 17,660, 7,044, 15,707, 6,531, 7,615, 11,583, 7,864, 12,966, 12,798, 18,914 5,646, 16,491, 8,126, 19,747, 17,128, 19,613, 19,815, 283, 13,420, 10,032, 2,293, 12,497, 18,159, 16,673, 1,012, 19,028, 102, 134, 14,226, 6,024, 11,534, 18,212, 19,380, 13,965.

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება თვითეულზე 125 მანათისა შეიძლება 1888 წელს 1 ივლისიდგან სახელმწიფო ბანკსა და იმის კანტორებსა და განყოფილებებში.

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

9 დღე ოთხშაბათი. წმ. 40 წამებულთა, მელიტონისა, ლეონტისა და ტარასისა. კათოლ. ტირიონისა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ნავრუზობა. ახალი წელიწადი შიიტებისა. მუსულმანებს გაზაფხული ეწყებათ. (ნავრუზს მაჰმადიანები ამიერ-კავკასიასა და სპარსეთში, სადაც უმეტესად შიიტები სცხოვრობენ, გაზაფხულის დაწყებისასა დღესასწაულობენ. ოსმალეთსა და სხვა ქვეყნებში-კი, სადაც სუნიტები არიან, დღესასწაულობენ თავის მაგარამის 1-ს რიცხვიდგან, რადგან მაჰმადიანებს ამ რიცხვიდგან უდგებათ ახალი წელიწადი.) — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 6—14. მთვარე 10 დღისაა.

10 დღე ხუთშაბათი. წმ. კონდრატისა და კიპრიანისა. კათოლ. გერმანისა. სომეხ. წმ. იოანესი. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12 - 7. ტფილისში მზე ამოდის 6—0, ჩადის 6—15. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

| | | |
|---|---|---|
| 1 მარტიდამ 15 მარტამდე | | » |
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| 2 › | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › » 2 › | 3½ | |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | › |
| სუკი . . . . | 16 | › |
| ძროხის ხორცი . . . | 9 | › |
| › 2 › | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | › |
| › 2 › | » | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

### შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, სუხუმ-კალეზედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის ნავსადგურს გადასწევეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# განცხადებანი


მმართველი ფოთის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა აუწყებს ამ საზოგადოების წევრებს, რომ 20 მარტს ამა წლისას, დილით 9 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება განსახილველად და დასამტკიცებლად 1887 წლის ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვისა ამა 1888 წლისა. ამ კრებაზევე დანიშნული ამორჩევა სამმართველოს თავ-მჯდომარისა და ერთის წევრისა, რომელთაც ვადა სამსახურისა შეუსრულდათ. უნდა იქმნას არჩეული აგრეთვე სამი დეპუტატი რჩევისა, სამი წევრი შემამოწმებელის კომისიისა და სამიც ა[…] კანდიდატი. (3—1)

კერძო ექიმი
პრეობრაჟენსკი
არჩენს ელექტრონითა: ფარადიზმურ და გალვანისმურ ხელისა ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა. ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისსა. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 საათამდე. იკითხონ კუკიაში, მიხეილის ქუჩაზე, ხანოვის სახლი, № 103. (4—3)

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უშიშარის
შვედურის საჩიკვებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.
ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—34)

კავკას. სამეურნეო საზოგადოების
საბაღოსნო სკოლაში
(მუშტაიდის გვერდზე)
ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—8)

ქ. გორში, სობოროს ქუჩაზე,
გახსნილი
ქართულის წიგნის მაღაზია.
ყველა წიგნის გამომცემელს შეუძლიან გამომიგზავნოს თავისი გამოცემა ჩვეულებრივის კომისიითა.
(5—5) კონსტანტინე ცხვედაძე

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Каравань-Сарай Земельн. Банка, № 109,110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპო[…]ვება, და გარდა ამისა ახლად ში[…]ნილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . ,, | | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . ,, | | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . ,, | | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . ,, | | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . ,, | | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |


Доз. цен. Тиф., 8 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე